N გ-19-03/1094
12/04/2019

1094-გ-19-03-2-201904121630

შპს „თებელაინს“

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

გატყობინებთ, რომ 2019 წლის 11 აპრილს დანიშნული სხდომა გადაიდო და გაიმართება 2019 წლის 25 აპრილს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია”) სხდომაზე განიხილება შპს „თებელაინისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამსახურებრივი ბარათი (N19-10-555, 28.03.2019).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2019 წლის 29 მარტი. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „თებელაინს“ უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამსახურებრივი ბარათი (N19-10-555, 28.03.2019) – 1 ფურცელი;

ოლია ვოტ

უფროსი
ადმინისტრაცია

N 19-10-555
28/03/2019

555-შ-19-10-3-201903281207

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის
წამყვან სპეციალისტს
ქალბატონ თამარ გოშუას

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის წამყვანი სპეციალისტის
ნატალია ჯანელიძის

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო თამარ,

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, 2019 წლის 11 თებერვლის მოხსენებითი ბარათთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, რომ შპს თებელაინმა 2019 წლის თებერვლის თვის ჩათვლით (სრულად) კომისიაში წარმოადგინა რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმები და წარმოდგენილი გაანგარიშებების შესაბამისად ერიცხება რეგულირების საფასურის დავალიანება-44.83 ლარი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ მიმდინარე საქმეში.

ნატალია ჯანელიძე

წამყვანი სპეციალისტი
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური